ჩვენი თანამემამულე – მუსიკათმცოდნე და კომპოზიტორი, დოქტორი მოსე ბოროდა დიდი ხანია ნაყოფიერად მოღვაწეობს გერმანიაში. საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის დიდი მცოდნე და ქომაგი, ეწევა მის პოპულარიზაციას და ცდილობს ჭეშმარიტების დამკვიდრებას, რისი შესანიშნავი ნიმუშებია ქვემოთ წარმოდგენილი წერილები.

11.06.2003
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმიდესობა ილია II-ს
მეფე ერეკლეს 2, თბილისი, საქართველო

ღია წერილი

თქვენო უწმიდესობავ,

თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ ღია წერილით, რომელიც შეეხება ქართული ეკლესიისთვის მნიშვნელოვან საკითხს.

ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანულმა ტელეარხმა 3-SAT-მა გადმოსცა მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მიძღვნილი მცხეთის ეკლესია-მონასტრებისა და საქართველოს გაქრისტიანების საკითხისადმი. ამის შესახებ ფილმის ფინალში ნათქვამია შემდეგი:

„ქართული ეკლესიის ისტორია არავითარ ეჭვს არ იწვევს: საქართველოს გაქრისტიანება მოხდა სომეხი პროფანი მღვდლების მიერ, მაგრამ ამაყ ქართველებს არ შეეძლოთ ამის დაშვება მაშინ, როცა მათ მეზობლებთან უთანხმოება ჰქონდათ. მათ ამჯობინეს ქალის მიერ ყოფილიყვნენ მოქცეულნი, და ასე, ლეგენდები ნინოს შესახებ სწორადაც მოიხდინეს“.

ამ მტკიცებამ, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს სავსებით ეწინააღმდეგება, მიბიძგა, პროტესტი განმეცხადებინა ფილმის ავტორებისათვის (იხ. დანართი).

ამასთან დაკავშირებით თავს მოვალედ მივიჩნევ, ღია წერილით მოგმართოთ თქვენ, როგორც ქართული ეკლესიის მეთაურს, რადგანაც:

1) ზემოთ მოყვანილი ციტატა არა მარტო ფაქტების ყალბი წარმოდგენაა, არამედ ეჭვქვეშ აყენებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს

და ბღალავს ქართულ ეკლესიას, როგორც ქართველი ერის გამაერთიანებელ ძალას.

2) არ შეიძლება იმ საფრთხის უგულებელყოფა, რომელსაც ქმნის ზემომოყვანილი ან მსგავს სიყალბეთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელება. განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომელნიც შესაძლოა პირველად იქმნიან წარმოდგენას საქართველოს შესახებ, ეცნობიან ქვეყანას, რომელიც არა მხოლოდ დღეს დგას პრობლემების წინაშე, არამედ წარსულშიც მოკლებული იყო კულტურულ დამოუკიდებლობას და „სწორ გზას“ თითქოს მხოლოდ მეზობელთა წყალობით დაადგა.

3) სარწმუნოების საკითხი ხალხის ყველაზე უშუალო გრძნობებს შეეხება, მით უმეტეს, ქართველი ხალხისა, მისი 3000 წლიანი სახელმწიფოებრიობისა და მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ეკლესიის ისტორიით. ამ მიმართებით ყოველი დაუსჯელი ან უპასუხო მცდარი გამონათქვამი ამ გრძნობათა უხეში შებღალვაა, რომელიც ქართველ ადამიანში დაუცველობის შეგრძნებას შექმნის.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ პირადად თქვენ. ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ეკლესიის როლი როგორც ერის გამაერთიანებელი ძალისა, ავალებს მას, მტკიცედ მოიგერიოს თავდასხმა საკუთარ ხელშეუვალ უფლებებზე და ქართველ ხალხს აგრძნობინოს თავისი მარადფხიზელი მოძღვრის მფარველობა.

ის ფაქტი, რომ საქართველოს არასოდეს წამოუყენებია პრეტენზია ქრისტიანულ სამყაროში თავისი ჭეშმარიტი როლის ან საბჭოთა კულტურაში მისი დიდი წვლილის აღიარებისათვის, უდაოდ პატივისცემას იმსახურებს და შეიძლებოდა ნიმუშად ქცეულიყო სხვათათვის, მაგრამ ამავე დროს, ეს პოზიცია მოიცავს სხვათა გამუდმებული პრეტენზიების ობიექტად გადაქცევის საფრთხეს.

ჩემთვის მეტად სასიხარულო იქნებოდა, თუ საქართველოზე თავდასხმები, ამის მიღმა უცოდინრობა დგას თუ ხანგრძლივი ვერაგული სტრატეგია, შეუპოვრად იქნება მოგერიებული საქართველოს ეკლესიის მხრიდან.

თქვენო უწმიდესობავ, იმედია, გაამართლებთ თქვენდამი მომართვისა და ჩემი ღია წერილის მოტივებს.

უღრმესი პატივისცემით,
დრ. მოსე ბოროდა

დანართი: წერილი ფილმის ავტორებს (ორიგინალი და თარგმანი)

20.11.2003
Seiner Heiligkeit
dem Hochstwürdigsten Herrn
Katholikos-Patriarch Ilia II
King Erecle 2 sqw. №1 Tbilisi, Georgien

Offener Brief

Euer Heiligkeit, der Hochwürdigste Katholikos-Patriarch,

ich erlaube es mir, mich an Sie bezüglich einer Frage zu wenden, welche mit der unlängst im deutschen Fernsehkanal 3SAT ausgestrahlten Sendung über die Mtckheta-Katedralen betrifft und eine für die georgische Kirche wichtige Frage anspricht. Den Anlass zu diesem Schreiben gaben die Schlussworte der genannten Sendung, und zwar:

Die georgische Kirchengeschichte erlaubt eigentlich keine Zweifel:

Georgien wurde durch Laienpriester aus Armenien christianisiert. Doch das konnten die stolzen Georgier nicht zulassen, als sie mit dem Nachbarn im Streit lagen. Dann wollten sie doch lieber von einer Frau bekehrt worden sein. Und so kamen ihnen die Legenden von der heiligen Nino gerade recht.....

Diese Aussage, die im krassen Widerspruch zu den bekannten Fakten der Kirchengeschichte Georgiens steht, habe ich versucht, in meinem Brief an die Autoren der Sendung zu widerlegen. Ich habe mich darüber hinaus entschieden, Sie als Oberhaupt den georgischen Kirche mit einem offenen Brief bezüglich der Sache anzusprechen, weil:

1. die o.g. Aussage nicht nur eine falsche Darstellung der Fakten ist, sondern die Selbständigkeit des georgischen Volkes in einem der wichtigsten Aspekte seiner geistigen Identität und seiner Geschichte in Frage stellt und somit die georgische Kirche per se als eine die ganze Nation vereinende Kraft unmittelbar betrifft.

2. die Gefahr, auch die politische, welche für Georgien durch die obengenannte oder ähnliche falsche Darstellung seiner Geschichte in den Medien entsteht, nicht unterschätzt werden darf. Insbesondere für die Menschen, welche das Wort Georgien zum ersten Mal hören, wird da durch ein Bild eines Landes gebaut, das nicht nur gegenwärtig Probleme hat, sondern auch in seiner Frühgeschichte eine gewisse Unselbständigkeit aufwies und erst von den Nachbarn auf den fichtigen Weg gestellt wurde.

3. ich davon überzeugt bin, dass die Glaubensfrage die unmittelbarsten Gefühle des Volkes insbesondere des georgischen Volkes mit seiner 3000 Jahre langen Staats und einer der ältesten Kirchengeschichte Betreffen, und jegliche unbestrafte falsche Aussage in dieser Richtung diese Gefühle aufs gröbste verletzt und in den georgischen Menschen das Gefühl der Ungeschütztheit stärkt.

So sind die Gründe meines Einschreitens bzw. meiner Entscheidung, mich direkt an Sie zu wenden. Ich bin tief davon überzeugt, dass die Rolle der georgischen Kirche als einer die ganze Nation vereinenden Kraft diese Kirche auch dazu verpflichtet, sich gegen die Angriffe auf ihre ureigensten Rechte entschieden zu wehren und somit dem georgischen Volk das Gefühl zu vermitteln, durch den wachen Hirten beständig behütet zu sein.

Die Tatsache, dass Georgien, ungeachtet seiner großen Rolle in der frühchristlichen Welt sowie seines beispiellos großen kulturellen Beitrags in der sowjetischen Zeit, nie den Anspruch auf Anerkennung dieser Leistungen erhoben hat ganz zu schweigen von der Tendenz, sich den selbst ausgedachten Beitrag zur anderen Kultur zuzuschreiben diese Tatsache deutet auf die besonders taktvolle Einstellung des georgischen Volkes seinen nichtgeorgischen Bürgern sowie seinen Nachbarn gegenüber. Diese Einstellung aber birgt die Gefahr in sich, Ansprüchen der Anderen unbestraft ausgesetzt zu werden ein für eine selbständige Volksgemeinschaft unerträglicher Zustand.

Es wäre eine Freude für mich zu erfahren, dass die o.g. Angriffe auf Georgien stammen sie aus dem fehlenden Wissen oder lassen sich als Teil einer langfristigen heimtückischen Strategie erkennen auch seitens der georgischen Kirche entschieden und wirksam zurückgewiesen würden.

Mit Hochachtung Dr. Moisei Boroda

P.S. *Kurz pro domo sua*. Ich bin Musikwissenschaftler und Komponist, geboren in Tbilissi. 1989 kam ich, auf dem Wege des *Alexander-von Humboldt*-Forschungsstipendiums, nach Deutschland. Meine jüdische Musik wurde mehrmals im Rundfunk (WDR, SWR, etc.) ausgestrahlt. Hier vertrete ich den georgischen Komponistenverband und leite einen Bezirksverband des Deutschen Tonkünstlerverbandes. Den beigelegten Infos bzw. der Seite http://home.tonline.de/home/orfco21/boroda dr moisei.html können weitere Details meines pro domo sua entnommen werden. M.B.

26.05.03
Südwestrundfunk
Redaktion Schätze der Welt - Erbe der Menschheit
76522 Baden-Baden SWR-Redaktion
z. Hd. Frau Eva Witte/Herrn Gogo Gensch

Betreff: Ihre Sendung Schätze der Welt... Mtckheta, 3 SAT, 18.05.03
Sehr geehrte Frau Witte, Sehr geehrter Herr Gensch,

Mit großem Interesse habe ich Ihre am 18.05 durch 3-SAT ausgestrahlte Sendung über Mickheta verfolgt. Sowohl die Auswahl des Objekts, das in der Tat zu den wertvollsten Schätzen der Welt gehört, als auch die hervorragende, die Poetik von Mtckheta, Dzhvari und Umgebung fein und kunstvoll wiedergebende Kameraführung sind sehr anerkennenswert. Auch ein Zuschauer, dem die Thematik bekannt ist, wird von der liebevollen Darstellung des Sujets tief beeindruckt.

Dennoch erlaube ich mir einige kritische Bemerkungen bezüglich der Position Ihrer Sendung in der Frage Christianisierung Georgiens einer Position, die sich in der abschließenden Aussage zum Thema fast am Ende des Kurzfilms präsentierte: Die georgische Kirchengeschichte erlaubt eigentlich keine Zweifel: Georgien wurde durch Laienpriester aus Armenien christianisiert. Doch das konnten die stolzen Georgier nicht zulassen, als sie mit dem Nachbarn im Streit lagen. Dann wollten sie doch lieber von einer Frau bekehrt worden sein. Und so kamen ihnen die Legenden von der heiligen Nino gerade recht Dieser Position ist folgendes entgegenzusetzen:

1. Laut historischen Quellen gab es in Georgien seit dem I. Jahrhundert nach Ch. funktionierende christliche Gemeinden. Dies ist z. B. durch solche Autoren belegt, wie St. Irenäus von Lyon (II. Jhrh. nach Ch.), welcher die Iberier (Georgier) unter den Christen (christlichen Völkern) erwähnt. Auch die archäologischen Ausgrabungen in Georgien haben z.B. Gemmen aus dem I. Jahrhundert zu Tage gefördert, auf deren Kehrseite die christliche Symbolik eingraviert wurde.

2. Sowohl die georgischen Chroniken als auch die Werke solcher Autoren aus der frühchristlichen Zeit wie Origen (II. Jhrh.), Dorotheos, Bischof von Tyros (IV Jhrh.), um andere nicht zu nennen, zeugen davon, dass einige der Kirchenväter Georgien lange vor ihrer offiziellen Bekehrung besucht und dort gepredigt und gebetet haben wohl nicht ins Leere, sondern für die bereits existierenden Gemeinden.

3. Das Christentum konnte sich in Georgien, bei allen Problemen, die mit der Verbreitung einer neuen weltumwälzenden Lehre verbunden sind, deshalb so früh ausbreiten, weil die Kontakte Georgiens zum Heiligen Land seit je bestanden durch seine jüdischen Mitbürger, die nach der Zerstörung des Tempels nach Georgien kamen, dort herzlich empfangen wurden und seitdem in Frieden lebten (ein an und für sich einzigartiges, in keinem anderen Land nachgeahmtes Phänomen). Eben sie waren es, welche die ersten Testimonien der Kreuzigung Christi nach Georgien brachten und die Geschichten über sein Leben und seine Kreuzigung unterbreiteten praktisch sofort nach dem Tod Christi.

4. Kurz nach dem Tod Christi wurden die Apostel in die damals bekannten Länder geschickt, um die neue Lehre zu predigen und zu missionieren. So

bekam der hl. Andreas der Erstgerufene den Auftrag, zu diesem Zweck nach Georgien zu gehen einen Auftrag, welchen er, in verschiedenen Teilen des Ost wie Westgeorgiens predigend, erfüllte. Parallel zum ihm überwiegend in Westgeorgien waren der hl. Apostel Simon aus Kanaan und der Apostel St. Matthata tätig. Das Grab des Letzteren befindet sich in der Nähe von Batumi, die Höhle des hl. Simon ist m. W. noch zur heutigen Zeit in Akhali Atoni zu sehen. Die Tätigkeit dieser hl. Prediger und Bekehrer gehört in die Zeit, lange vor der Anerkennung des Christentums als Staatsreligion im IV. Jahrhundert (genauer, im Jahre 326).

5. Bereits zu Beging des IV Jhrh. wurde Georgien von der damaligen christlichen Welt als christliches Land anerkannt was u.a. sich in der Tatsache schilderte, dass der Bischof von Bichvinta am Ersten Ökumenischen Concil in Nicea teilgenommen hat.

6. Bezüglich der in Ihrer Sendung erwähnten hl. Nino und ihres Beitrags zur staatlichen Anerkennung des Christentums in Georgien erlaube ich mir, Ihnen die Lektüre Nino, hl. Apostolin der Georgierlim Biographish-Bibliographischen Kirchenlexikon (B. XIV, 1322-1324) zu empfehlen, sowie das Reallexikon für Antike und Christentum (Sachwöterbuch zur Auseinandersetzung der antiken Welt und des Christentums), B. XVII, Artikel Iberia (Georgien) von H.G. Brakmann und Otar Lordkipanidse, 11-106. Das letztere Buch, dessen Koautor einer der international renommierten Archeologen und Historiker, Prof. Otar Lortkipanidse ist, ist generell in bezug auf die Kirchengeschichte Georgiens zu empfehlen.

So sind die Tatsachen bezüglich der Christianisierung Georgiens. Armenische Geistliche, ganz zu schweigen von armenischen Laien als **Bekehrer** des Landes, erwähnen die georgischen wie die o.g. Kirchenautoren nicht auch die späteren ernsten Historiker nicht. Die Georgier brauchten daher keine, Legenden von der heiligen Nino, um ihre wahren d.h. armenischen Bekehrer aus dem Gedächtnis auszulöschen diese Aufgabe war einfach nicht da. Es ist nicht die Sache des Stolzes, sondern einfaches Faktum ihrer religiösen wie fast 3000 Jahre dauernden Staatsgeschichte, dass in Georgien das Christentum sich so früh feste etablieren konnte und dass die Hauptidee der Lehre Christi Liebe deinen Nächsten wie dich selbst in zahllosen Beispielen vom Volke getragen und in vivo gelebt werden konnte. Diesen Geist, der ein aufsehenerregendes und beispiellos friedliches und freudiges Zusammenleben Menschen ganz verschiedener Ethnien und Konfessionen erlaubte, diese aufrichtige Achtung in jedem Fremden einen Nächsten, diese tiefe Religiosität, die sich nicht so sehr im christlichen Ritus wie im vorgelebten Christentum offenbarte, hatte ich als Jude Zeit meines Lebens in Georgien mit nie aufhörender Begeisterung bewundert. So war das Land auch vor Christi, und so viel seine Lehre auf gut vorbereiteten Boden ind fruchtete.

Ich glaube es feste, dass ich mit meinen Bemerkungen über die Christianisierung Georgiens durch armenische Laienpriester keine Gefühle der Armenier verletzt habe eines außerordentlich arbeits, leistungs wie ausharrensfähigen Volkes, dessen historisches Schicksal von zahlreichen Schlägen, aber auch von vielen großen Errungenschaften gezeichnet ist. Diese Errungenschaften sind um so höher zu schätzen, weil die Naturschätze, die den Armeniern zu Verfügung stehen, bedauerlich spärlich sind und weil auch das historische Schicksal dieses Volk seines eigenen Staates sehr früh und für unvorstellbar lange Zeit beraubt hat. Diese Errungenschaften auch im Bereich der Kultur und Kirchendenkmäler sind ernst genug, um nicht in die Versuchung zu geraten, noch darüber hinaus den Beitrag zur georgischen oder auch anderen selbständigen Kulturgeschichte zu beanspruchen.

Ich würde mich freuen, von Ihnen bezüglich meiner Anmerkungen zu hören.

Mit freundlichen Grüßen
Dr. Moisei Boroda

ღრმად პატივცემულო ქალბატონო ვიტტე,
ღრმად პატივცემულო ბატონო გენშ

დიდი ინტერესით ვნახე ა.წ. 18 მაისს 3-SAT-ით გადაცემული თქვენი ფილმი მცხეთის შესახებ. აღიარებას იმსახურებს თვით ობიექტის შერჩევა, რომელიც ნამდვილად მსოფლიოს უძვირფასეს საგანძურთა რიცხვს განეკუთვნება, და ფილმის შემქმნელების მაღალოსტატური ნამუშევარი — მცხეთა-ჯვრის ფაქიზად აღბეჭდილი პოეტიკა. შეუძლებელია გათვითცნობიერებული მაყურებელიც კი არ მოხიბლულიყო. მიუხედავად ამისა, თავს უფლებას მივცემ რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვა გადაცემის პოზიციის მიმართ, კერძოდ იმ პოზიციისა, რომელიც ფილმის ფინალში წარმოჩინდა და საქართველოს გაქრისტიანების საკითხს შეეხება".

„ქართული ეკლესიის ისტორია არავითარ ეჭვს არ იწვევს: საქართველოს გაქრისტიანება მოხდა სომეხი პროფანი მღვდლების მიერ. მაგრამ ამაყ ქართველებს არ შეეძლოთ ამის დაშვება მაშინ, როცა მათ მეზობლებთან უთანხმოება ჰქონდათ. მათ ამჯობინეს ქალის მიერ ყოფილიყვნენ მოქცეულნი, და ასე. ლეგენდები ნინოს შესახებ სწორადაც მოიხდინეს".

ამ პოზიციას ეწინააღმდეგება შემდეგი:

1) ისტორიული წყაროების მიხედვით საქართველოში ქრისტიანული საზოგადოებები არსებობდა ახ. წელთაღრიცხვის 6 საუკუნიდან მოყოლებული. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ წმ. ირენეუსის ნაწერი (ახ. წ. II ს), რომელიც იბერებს (ქართველებს) ქრისტიან ერად მოიხსენიებს. ამაზევე მეტყველებს

არქეოლოგიური მონაპოვრებიც, მაგალითად, ახ. წ. I საუკუნის გემები, რომლებზეც ქრისტიანული სიმბოლიკა – ჯვარია ამოტვიფრული.

2) როგორც ქართული ქრონიკები, ასევე ადრექრისტიანული ეპოქის ავტორები, მაგ., ორიგენი (ახ. წ. II ს), ტიროსის ეპისკოპოსი დოროთეოსი (ახ. წ. IV ს) და სხვ. მოწმობენ, რომ საეკლესიო მამები საქართველოს ოფიციალურ მოქცევამდე ბევრად უყრო ადრე ჩადიოდნენ ამ ქვეყანაში ლოცვისა და ქადაგებისათვის – ცხადია, არა სიცარიელის, არამედ უკვე არსებული მრევლისათვის.

3) მიუხედავად არსებული პრობლემებისა, საქართველოში ქრისტიანობის ადრე გავრცელება უთუოდ იმიტომაც აღმოჩნდა შესაძლებელი, რომ საქართველოს ურთიერთობას წმინდა ქვეყანასთან უკვე იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ხნის წარსული ჰქონდა – მას შემდეგ, რაც ტაძრის დანგრევისას წამოსულმა ებრაელებმა საქართველოში გულითადი მიღება და მშვიდობიანი ცხოვრება პოვეს (თავისთავად ერთადერთი და სხვა ქვეყნებისთვის უმაგალითო ფენომენი). მათ მოიტანეს და გაავრცელეს საქართველოში ქრისტეს ჯვარცმის პირველი მოწმობანი, და ეს მოხდა უშუალოდ ქრისტეს წამების შემდეგ.

4) ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მოციქულნი მივლენილ იქნენ მაშინდელ ქვეყნებში ახალი სწავლების ქადაგება-გავრცელებისათვის. ასე, საქართველოს მოევლინა წმ. ანდრია პირველწოდებული. იგი ქადაგებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთში. დასავლეთ საქართველოში ქადაგებდნენ აგრეთვე წმ. მოციქულნი – სვიმონ კანანელი და მატათა. ამ უკანასკნელის საფლავი ბათუმის მახლობლადაა, წმ. სვიმონის გამოქვაბული კი – ახალ ათონში. ამ წმინდანთა მოღვაწეობა საქართველოში ბევრად უსწრებს წინ აქ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს – 326 წელს.

5) უკვე IV საუკუნის დასაწყისში მაშინდელი ქრისტიანული სამყარო საქართველოს ქრისტიანულ ქვეყნად აღიარებს, რისი ერთ-ერთი დადასტურებაა ბიჭვინტის ეპისკოპოსის მონაწილეობის ფაქტი ნიკეის პირველ ეკუმენურ კრებაში.

6) რაც შეეხება თქვენს გადაცემაში მოხსენიებულ წმ. ნინოსა და მის წვლილს საქართველოს გაქრისტიანების საკითხში, თავს უყლებას მივცემ გირჩიოთ შემდეგი შრომები: (ა) Biographish-Bibliographischen Kirchenlexikon (B. XIV, 1322-1324) 33 (3) Re-allexikon für Antike und Christentum (Sachwöterbuch zur Auseinander-setzung der antiken Welt und des Christentums), B. XVII, Artikel Iberia (Georgien) Von H.G.Brakmann und Otar Lordkipanidse, 11-106. უკანასკნელი ნაშრომი, რომლის თანაავტორი მსოფლიოში აღიარებული არქეოლოგი და ისტორიკოსი პროფ. ოთარ ლორთქიფანიძეა, დიდ ყურადღებას იმსახურებს ქართული ეკლესიის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ასეთია საქართველოს მოქცევის ფაქტები. სომეხი სასულიერო მამები, რომ აღარაფერი ვთქვათ პროფან მოძღვრებზე, არც ქართველი და არც სხვა ზემოდასახელებული ავტორების მიერ არ არიან ნახსენები. მათი ხსენება არც გვიანდელი ეპოქების სერიოზული ისტორიკოსების ნაშრომებშია. ქართველებს არ სჭირდებოდათ „ლეგენდები წმინდა ნინოზე" მათი „ნამდვილი" მომქცეველების — სომეხი მოძღვრების — მეხსიერებიდან ამოშლის მიზნით. ეს ამოცანა, უბრალოდ, არ არსებობდა. ეს არ არის სიამაყის საკითხი, არამედ ის მარტივი ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოს უძველესმა ისტორიამ, მისი ხალხის სულიერმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა აქ ქრისტიანობის უადრეს ხანაშივე გავრცელება. ერისთვის უაღრესად ახლობელი აღმოჩნდა ქრისტიანობის ძირითადი პრინციპი „გიყვარდეს შენი მოყვასი..." და ამან ორგანული ნიადაგი მოუმზადა ახალი სწავლების განმტკიცებას საქართველოში. ეს სულიერება, რომელიც უდიდეს აღტაცებას იწვევდა საუკუნეების მანძილზე, და უახლეს ხანამდე საფუძველს უქმნიდა სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის ადამიანების უმაგალითოდ მშვიდობიან და კეთილგანწყობილ მხარდამხარ ცხოვრებას, ეს „უცხოს მოყვასად აღიარება", ეს რელიგიურობა, გამოვლენილი არა იმდენად რიტუალის დაცვაში, რამდენადაც ქრისტიანული პრინციპებით ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოვცადე მე თვითონ, როგორც ებრაელმა, ჩემი საქართველოში ცხოვრების მანძილზე.

ასე იყო საქართველო ქრისტემდე, და ასე აყვავდა ქრისტეს სწავლება ამ ნაყოფიერ ნიადაგზე.

მწამს, რომ ჩემი შენიშვნებით სომეხი პროფანი მღვდლების მიერ საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არ შევლახე სომეხი ხალხის გრძნობები — ამ არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე, უნარიანი და შეუპოვარი ხალხისა, რომელთა ისტორიული ბედიღბალი როგორც ტრაგიკული მოვლენებით, ასევე დიდი მიღწევებითაცაა აღნიშნული. ეს მიღწევები მით უფრო დასაფასებელია, რომ ქვეყნის ბუნებრივი რესურსები ძალზედ მწირია, და ამასთანავე, ისტორიულმა ბედისწერამ სომეხ ხალხს მეტად ადრე და წარმოუდგენლად დიდი ხნით დააკარგვინა სახელმწიფოებრიობა. მისი მიღწევები კულტურისა და საეკლესიო ძეგლების აღმშენებლობაში საკმაოდ მნიშვნელოვანია და საკმარისიც, რათა არ წარმოიშვას ცდუნება ქართული თუ სხვა რომელიმე დამოუკიდებელი კულტურის მიღწევათა მითვისებისა.

მოხარული ვიქნები, თუ შევიტყობ თქვენს აზრს ჩემი შენიშვნების შესახებ.

მეგობრული მოკითხვით,
დრ. მ. ბოროდა